



ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____

07 05 2019 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება № 14

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ყ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ეთიკის კოდექსი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2013 წლის 1 აგვისტოს N01-00/12 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. სკოლებს დაევალოს ამ ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული დოკუმენტების სტუდენტებისთვის გაცნობა. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს დოკუმენტების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მეუფე იაკობი



ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის

ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეთიკის კოდექსი არეგულირებს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) დასაქმებულ პირთა და სტუდენტთა ქცევის წესებს, ასევე განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პროცედურებს.
2. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია უნივერსიტეტის წესდებისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. ამ კოდექსის მიზნებისთვის სტუდენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში და იღებს შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას.
4. ამ კოდექსის მიზნებისთვის უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს მიეკუთვნებიან:
 - ა) აკადემიური პერსონალი;
 - ბ) მოწვეული პერსონალი;
 - გ) პერსონალი - ნებისმიერი პირი, რომელიც უნივერსიტეტთან იმყოფება შრომით ურთიერთობაში (გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა).

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზანი

1. ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთათვის და სტუდენტებისთვის, როგორც სამუშაო, ასევე სასწავლო პროცესში შესასრულებლად სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპებისა და ქცევის წესების დადგენას.
2. ეთიკის კოდექსის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში თვითდისციპლინის და სხვათა პატივისცემის, ასევე კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და აკადემიური თავისუფლების დამკვიდრებას.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის პრინციპები უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და აკადემიური თავისუფლება

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია:
 - ა) სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს თანამშრომლებსა და სტუდენტებს, იყოს კონსტრუქციული და თავაზიანი;
 - ბ) დაიცვას სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
 - გ) უზრუნველყოს სტუდენტთა თანაბარი მოპყრობა;
 - დ) თავი შეიკავოს დისკრიმინაციული კომენტარებისგან და სტუდენტებს მისცეს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა;

- ე) პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს დახმარება აღმოუჩინოს კოლეგებს;
- ვ) არ გამოიყენოს საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით;
- ზ) ლექცია-სემინარებზე შევიდეს დროულად, არ დაუშვას მეცადინეობის დროზე ადრე დასრულება/გაცდენა, იყოს სათანადოდ მომზადებული;
- თ) სასწავლო პროცესი წარმართოს მის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსის (სილაბუსის) მიხედვით და უზრუნველყოს მისი პერიოდული განახლება;
- ი) სტუდენტებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ;
- კ) უზრუნველყოს სტუდენტთა შეფასება ობიექტურად და გამორიცხოს ყოველგვარი პროტექციონიზმი;
- ლ) ხელი შეუწყოს პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლას და სტუდენტებს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია პლაგიატის შესახებ; სამეცნიერო კომპონენტის ხელმძღვანელობის დროს სტუდენტთან ერთად უზრუნველყოს შესრულებული ნაშრომის წარმოდგენა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- მ) არ გამოიყენოს სტუდენტები პირადი გამორჩენისა და ანგარების მიზნით;
- ნ) პატივი სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მისი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის კრიტიკა იყოს კონსტრუქციული;
- ო) ნებისმიერი ნაშრომის/სახელმძღვანელოს შექმნა უზრუნველყოს აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვით, რაც გამორიცხავს პლაგიატს;
- პ) წინასწარ არ გაამჟღავნოს საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და მისი დაკისრების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესით.

3. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სარგებლობს სრული აკადემიური თავისუფლებით, კერძოდ:

- ა) პერსონალი უფლებამოსილია აუდიტორიაში სასწავლო პროცესის წარმართვის დროს შეუფერხებლად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (უნდა გამორიცხოს დისკრიმინაციული მიდგომა);
- ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავად განსაზღვრავს სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლების და შეფასების მეთოდებს (კანონმდებლობით დადგენილი წესის გათვალისწინებით).

მუხლი 4. ეთიკის კოდექსის პრინციპები უნივერსიტეტის პერსონალისთვის

1. პერსონალი ვალდებულია:

- ა) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას;
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესები;
- გ) პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს და სტუდენტებს, პატივი სცეს მათ ღირსებას;

- დ) პატივი სცეს განსხვავებულ აზრს და არ გააკეთოს დისკრიმინაციული კომენტარი;
 - ე) არ გაამჟღავნოს ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;
 - ვ) არ გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალური, თუ სხვაგვარი რესურსი, ასევე მისი სამსახურებრივი მდგომარეობა პირადი მიზნებისთვის;
 - ზ) უარი თქვას ნებისმიერ საჩუქარზე/შეთავაზებაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი მხრიდან კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
 - თ) თავი შეიკავოს პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელებისგან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კოლეგებს ან სტუდენტებს;
 - ი) იყოს კორექტული და თავაზიანი თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ურთიერთობისას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და მისი დაკისრების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესით.

მუხლი 5. ეთიკის კოდექსის პრინციპები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

1. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე უნივერსიტეტში დასაქმებულ ნებისმიერ პირს და სხვა სტუდენტებს. იგი უნდა იყოს კონსტრუქციული და თავი შეიკავოს დისკრიმინაციული კომენტარებისგან.
2. სტუდენტი უნდა გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას და მის საქმიან რეპუტაციას. არ უნდა დაუშვას ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტს.
3. სტუდენტის მხრიდან არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
 - ა) სასწავლო პროცესისთვის ხელის შეშლა, მათ შორის საგამოცდო პროცესისთვის; საგამოცდო პროცედურების დარღვევა;
 - ბ) უნივერსიტეტში ყოფნა ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ;
 - გ) ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული უნივერსიტეტის მიერ;
 - დ) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;
 - ე) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;
 - ვ) შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტებისა და უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული და სხვა პერსონალისთვის, ასევე ძალადობა, მუქარა, ხმაური და ბილწსიტყვაობა;
 - ზ) უნივერსიტეტის ელექტრონული პროგრამების დაზიანება ან დაზიანების მცდელობა;
 - თ) აკადემიური სიყალბე, რაც გულისხმობს:

- თ.ა) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას, ან თხოვნას სხვა პირისთვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;
 - თ.ბ) კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას გამოცდის შესახებ;
 - თ.გ) უნივერსიტეტში მის შესახებ არსებული მონაცემების გაყალბებას;
 - თ.დ) ხელის შეშლას სხვა სტუდენტებისთვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
 - თ.ე) სხვა სტუდენტისთვის აკადემიურ სიყალბეში ხელის შეწყობას;
 - თ.ვ) შეფასების მიღების მცდელობას მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თუ სხვა დაუშვებელი ქმედებით;
 - თ.ზ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვას, განადგურებას ან შეცვლას;
 - თ.თ) გამოცდის დროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერას, ან სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენებას, რომელიც არ არის ნებადართული, ასევე კარნახს.
4. აკადემიურ სიყალბეს მიეკუთვნება პლაგიატიც.

მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და დისციპლინური წარმოების დაწყება

1. ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტებს ეკისრებათ შემდეგი დისციპლინური სახდელეები:
 - ა) გაფრთხილება
 - ბ) შენიშვნა;
 - გ) საყვედური;
 - დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების საკითხის აღძვრის უფლება აქვს უნივერსიტეტში დასაქმებულ ნებისმიერ პირს, ასევე სტუდენტს, რომელიც თვლის, რომ ზიანი მიადგა მის კანონიერ ინტერესებს.
3. დაინტერესებული პირი დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. განცხადებაში უნდა მიეთითოს „ეთიკის კოდექსით“ დადგენილი კონკრეტული ნორმის დარღვევის შესახებ, ასევე დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის შესახებ, რომელიც ადასტურებს „ეთიკის კოდექსის“ დარღვევას.
4. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება ეთიკის კომისია, რომელსაც გადაეცემა შემოსული განცხადება. ეთიკის კომისია ვალდებულია შეისწავლოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. საკითხის ყოველმხრივ და ობიექტურად შესწავლის მიზნით იგი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები. ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება, იგი სარგებლობს შემდეგი უფლებებით:
 - ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

- ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

7. ეთიკის კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. მხარეებს სხდომის ჩატარების შესახებ ეცნობებათ 7 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არასაკმარის მიზეზით ვერ გამოცხადდება სხდომაზე ეთიკის კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა. თუ, მხარე საკმარის მიზეზით ვერ ცხადდება, მან აღნიშნული შესახებ უნდა აცნობოს ეთიკის კომისიას, რაც შესაძლებელია გახდეს სხდომის გადადების საფუძველი.

8. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს ეთიკის კომისიამ. ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

9. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. სტუდენტი უფლებამოსილია აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. სტუდენტისთვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული.

2. ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „თ.თ“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში ორივე სტუდენტს უფორმდება შეფასება „0“. ხოლო ეთიკის კომისია ორივე მათგანს აძლევს შენიშვნას. ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „თ.ა“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში იმ პირს, რომელმაც სხვის ნაცვლად ჩააბარა გამოცდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით გამოეცხადება საყვედური, ხოლო იმ პირს, ვის ნაცვლადაც ჩააბარეს გამოცდა გაუფორმდება შეფასება „0“ და ეთიკის კომისია მისცემს შენიშვნას. აღნიშნული დარღვევების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია გახდეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

3. უნივერსიტეტის ეთიკის კომისია ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე თავად მსჯელობს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამის ზომაზე. ეთიკის კომისია არ არის შეზღუდული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის არჩევაში.
4. ეთიკის კომისია უფლებამოსილია ერთი დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სტუდენტი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კოდექსში შეიტანოს ისეთი ცვლილებები, რაც არ ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, არ არის მიმართული მათი პატივისა და ღირსების შელახვისკენ და არ აუარესებს მათ მდგომარეობას.
2. უნივერსიტეტი ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია უზრუნველყოს ამ კოდექსის გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის და მისი საჯაროდ გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ამ კოდექსის რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს კოდექსის ბათილობას.

პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმებს.
2. ამ წესის მიზნებისთვის სტუდენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში და იღებს შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას.
3. ამ წესის მოქმედება ვრცელდება, როგორც სტუდენტზე, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე.

მუხლი 2. წესის მიზანი

უნივერსიტეტის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ამ პრინციპიდან გამომდინარე წესის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის სივრცეში ნებისმიერი ფორმის პლაგიატის აღმოჩენა, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს აცილებული სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება.

მუხლი 3. პლაგიატის ფორმები

არსებობს პლაგიატის შემდეგი ფორმები:

- ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი, ცხრილი, ფორმულა, დიაგრამა, კითხვარი, კომპიუტერული კოდი, აუდიო ჩანაწერი და სხვა) მითვისება ავტორის მითითების გარეშე;
- ბ) პარაფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პარაფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პარაფრაზირებული პლაგიატია ასევე პარაფრაზისას ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხს ბუნდოვანს ხდის;
- გ) მოზაიკური პლაგიატი - მოზაიკური პლაგიატისას სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებები ისეა გაერთიანებული, რომ ცალკეული ავტორები მითითებული არ არის;
- დ) თვითპლაგიატი - ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნება საკუთარი ნაშრომის ციტირების გარეშე;
- ე) სხვისი ნამუშევრის გამოყენება (ავტორის თანხმობით ან მის გარეშე) და მისი წარმოჩენა, როგორც საკუთარ ნამუშევრად;
- ვ) ფარული თანამშრომლობა სხვების მოტყუების მიზნით - აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვა პირისგან

მიღებული დახმარების არაღიარებას, ჯგუფურ პროექტზე მუშაობისთვის დადგენილი წესების არ გათვალისწინებას;

ზ) ნამუშევრის ან მისი ნაწილის სხვა პირისგან შექმნა და მისი საკუთარ ნაშრომად წარმოჩენა.

მუხლი 4. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად გასატარებელი ღონისძიებები

1. უნივერსიტეტი პლაგიატის პრევენციისთვის გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს:

ა) უზრუნველყოფს შიდა საუნივერსიტეტო ბაზის შექმნას, სადაც განთავსდება სტუდენტთა ნაშრომები (პრეზენტაციები, რეფერატები, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები, ჯგუფური პროექტები და სხვა);

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას და მათი ცნობიერების ამაღლებას პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ახორციელებს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომების (სამაგისტრო/სადოქტორო) შემოწმებას პლაგიატზე;

დ) უზრუნველყოფს ინსტრუქციების შემუშავებას სწორი ციტირებისა და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით;

ე) უზრუნველყოფს ვებგვერდზე აკადემიური კეთილსინდისიერების პორტალის შექმნას, სადაც თავმოყრილი იქნება დამხმარე და საინფორმაციო რესურსები;

ვ) უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა ელექტრონული პროგრამების და ტექნიკური საშუალებების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც პლაგიატის აღმოჩენა არის შესაძლებელი;

ზ) უზრუნველყოფს სტუდენტების/აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინფორმირებას გამოვლენილ არაკეთილსინდისიერ შემთხვევებზე;

თ) აკადემიური/მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას მათ მიერ შესასრულებელ წერით დავალებებში/ნაშრომში/ჯგუფურ პროექტში პლაგიატის შემოწმებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.

მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

1. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმებია:

ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, რეცენზენტის, ასევე სტუდენტის შეფასების პროცესში ჩართული სხვა პირის მიერ ნაშრომის შეფასება და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

ბ) პლაგიატის აღმოჩენის სპეციალური პროგრამის გამოყენება;

გ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, პერსონალის მიერ მომზადებული ნაშრომის ექსპერტიზა გამოქვეყნებამდე.

2. სტუდენტის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პირი უზრუნველყოფს ნაშრომის შემოწმებას შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) ახდენს ნაშრომის სქოლიოში მითითებული ლიტერატურის შედარებას ნაშრომის შინაარსთან;

ბ) წარმოდგენილ ნაშრომს ადარებს სხვა სტუდენტების მიერ შესრულებულ მსგავსი შინაარსის ნაშრომებთან;

გ) სკოლის ადმინისტრაციას მიმართავს სპეციალურ პროგრამაში ნაშრომის შემოწმების მოთხოვნით.

3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ მომზადებული ნაშრომები გამოქვეყნებამდე შესამოწმებლად ეგზავნებათ შესაბამის სპეციალისტებს, ასევე მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამაში შესაბამისი სკოლის მიერ.

მუხლი 6. პლაგიატზე რეაგირება

1. სტუდენტის ან აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნაშრომში გამოვლენილი პლაგიატის ნიშნების შემთხვევაში უნივერსიტეტის „ეთიკის კოდექსითა“ და „შრომის შინაგანაწესით“ დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება შესაბამისი კომისია, (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) რომელიც უზრუნველყოფს საკითხის შესწავლას და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიების გატარებას.

2. სტუდენტის ნამუშევარში (პრეზენტაცია/ჯგუფური პროექტი) გამოვლენილი პლაგიატის დროს ლექტორი სტუდენტს უფორმებს შეფასებას „0“. სტუდენტი არ არის უფლებამოსილი იმავე სემესტრში განმეორებით შეასრულოს ნამუშევარი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება ლექტორის შეფასებას მიმართავს რექტორს, რომელიც ქმნის ეთიკის კომისიას საკითხის შესწავლის მიზნით.

3. საბაკალავრო ნაშრომში გამოვლენილი პლაგიატის დროს ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ. ნამუშევარი ფასდება „0“ ქულით. სტუდენტი უფლებამოსილია მომავალ სემესტრში შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი. იგივე ქმედების 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

4. სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომში გამოვლენილი პლაგიატის დროს ეთიკის კომისია დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საყვედურის გამოცხადების შესახებ ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. ნაშრომი შეფასდება „0“ ქულით. სტუდენტი უფლებამოსილია გადაამუშავოს ნაშრომი და განმეორებით წარადგინოს მომდევნო სემესტრში. იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატის ნიშნები აღმოჩნდება კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ეთიკის კომისია უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეისწავლოს საკითხი, პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის გაუქმების შესახებ.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

ამ წესის მე-6 მუხლის მოქმედება სტუდენტებზე გავრცელდეს 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებიდან.